პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 15 (10409) | ოთხშაბათი, 18 იანვარი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღეს თბილისში იხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

მხურვალე სალამი საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის დელეგატებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა გაიხსნება დღეს, 18 იანვარს, საღამოს 6 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში — თბილისში გაიხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა. საქართველოს კომპარტია, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განუყოფელ, ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, თავის მორიგ ყრილობას ხვდება იდეურად და ორგანიზაციულად კიდევ უფრო ერთიანი და მონოლითური, მტკიცედ დარაზმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა შეაჯამებს XVI ყრილობიდან განვლილი პერიოდის მუშაობის შედეგებს, დასახავს ახალ საბრძოლო ამოცანებს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, მშრომელთა მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებისათვის.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, მძლავრი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი ზრუნვის, თავისი უფროსი ძმის—დიდი რუსი ხალხის, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების უანგარო დახმარების შედეგად, ახალი სერიოზული წარმატებები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. რესპუბლიკის მრეწველობამ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალება ადამდე შეასრულა. სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მძიმე ინდუსტრია. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლის შედეგად რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების 1955 წლის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა. მთლიანად სამრეწველო წარმოების მოცულობა გადიდდა 10 პროცენტით.

რესპუბლიკის მრეწველობის სერიოზული წარმატებები ჩვენი მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების თავდადებული შრომის, პარტიული ორგანიზაციების სწორი ხელმძღვანელობის შედეგია. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ სამრეწველო წარმოების ზრდის დიდი რეზერვების სრულად გამოყენებას. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ტექნოლოგიის სრულყოფას, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის შემდგომ გაფართოებას. მრეწველობის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციისა და მართვის გამო სამრეწველო საწარმოების 30 პროცენტი ვერ ასრულებს პროდუქციის გამოშვების გეგმებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის ივლისის პლენუმმა დასახა მრეწველობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის კონკრეტული გზები. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მრეწველობის მუშაკების შრომითს აქტივობას, მიაღწიონ იმას, რომ მეექვსე ხუთწლედის პირველი წელი იყოს ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სამრეწველო წარმოების ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლის წელი. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ღრმად ჩასწვდნენ საწარმოთა ტექნიკასა და ეკონომიკას, ფართოდ დანერგონ და გაავრცელონ წარმოების ნოვატორთა მუშაობის ძვირფასი გამოცდილება, მეცნიერების მიღწევები, მოწინავე ინჟინერთა და ტექნიკოსთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებანი, ყოველდღიურად უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას, წარმართონ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა 1956 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესასრულებლად.

უკანასკნელ ორ წელიწადში კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა განხორციელებამ უკვე მოგვცა პირველი დადებითი შედეგები. რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობამ, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა თავდადებული შრომის შედეგად მოიპოვეს პირველი წარმატებები სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის მისაღწევად. გადიდდა ნათესი ფართობები და ყველა კულტურის მოსავლიანობა. სერიოზული ყურადღება ექცევა სიმინდისა და ტექნიკური კულტურების განვითარებას. 1955 წელს გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის, ყურძნის, ხილის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ეთერზეთოვანი კულტურების, აბრეშუმის პარკის, მატყლის დამზადებისა და შესყიდვის გეგმები. 63 პროცენტით გაიზარდა წველადობა საშუალოდ ერთ ძროხაზე. 1955 წელს წინა წელთან შედარებით გაცილებით უფრო მეტი დამზადდა ხორცი, რძე, კვერცხი, ციტრუსები, ბოსტნეული. ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების გეგმა 106,8 პროცენტით შესრულდა. რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობათა 25 პროცენტი მილიონერი გახდა. გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი.

ასეთია პირველი შედეგები სოფლის მეურნეობის აღმავლობის იმ ბრძნული პოლიტიკის განხორციელებისა, რომელიც პარტიამ დასახა. ამასთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებებიც გვაქვს. ჩვენში ჯერ კიდევ არიან კოლმეურნეობები და მთელი რაიონებიც კი, რომლებმაც არადამაკმაყოფილებლად დაამთავრეს სასოფლო-სამეურნეო წელი. რესპუბლიკის მრეწველობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო, კერძოდ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმმა თავის დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომი მკვეთრი აღმავლობის ამოცანის შესასრულებლად საჭიროა მნიშვნელოვნად ამაღლდეს პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე, უფრო კვალიფიციური, კონკრეტული და ოპერატიული გახდეს ეს ხელმძღვანელობა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გააძლიერონ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა, კონკრეტული საქმეებით შეაფასონ მათი მუშაობა.

ამჟამად პარტიული ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა საგაზაფხულო თესვისათვის დროულად მომზადება და პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრება. აუცილებელია, რომ დროზე შევაკეთოთ მანქანა-ტრაქტორთა პარკი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მთლიანად მოვიმარაგოთ თესლი და შევამოწმოთ მისი აღმოცენების უნარი, დავამზადოთ და გავიტანოთ ადგილობრივი და მინერალური სასუქები.

რესპუბლიკაში სერიოზული მიღწევებია მოპოვებული სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების განვითარებაში. ყოველდღიურად უმჯობესდება მასების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

პარტიული ორგანიზაციების პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა, მისი სწორად მოწყობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წარმატებათა საფუძველია, მასების კომუნისტურად აღზრდის უძლიერესი საშუალებაა. ამიტომ იყო, რომ ყრილობის წინ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა, რაიონულმა, საქალაქო და საოლქო პარტიულმა კონფერენციებმა განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე და მკვეთრად გააკრიტიკეს ის პარტიული კომიტეტები, რომლებიც იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობას იჩენენ, ცუდად ზრუნავენ კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის.

პარტიული პროპაგანდის, იდეოლოგიური მუშაობის ხელმძღვანელობა პარტიული ორგანიზაციების პირველხარისხოვანი ამოცანაა. მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლა საჭიროებს მთელი ჩვენი პარტიულ-პოლიტიკური, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას.

პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა პარტიული პროპაგანდა, აგიტაცია, მთელი იდეოლოგიური მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის დიად პრაქტიკას. ჩვენი პროპაგანდა და აგიტაცია შეტევითი უნდა იყოს, იგი უნდა ამხელდეს ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, იბრძოდეს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, მან უნდა გვიჩვენოს არა მარტო მიღწევები, არამედ გამოამჟღავნოს ნაკლოვანებანი, ჩვენი ზრდის სიძნელენი, მათი უსწრაფესად დაძლევის გზები, ზრდიდეს საბჭოთა ადამიანებს ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველმხრივ განვითარებას, რადგან შეუძლებელია წინსვლა ნაკლოვანებათა უმხილებლად და აღმოუფხვრელად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა ჯანსაღი, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით განიხილავს და ღრმა ანალიზს გაუკეთებს საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას და დასახავს საბრძოლო ამოცანებს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

წელს ჩვენი დიადი სამშობლოს ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იქნება: გენიალური ლენინის მიერ შექმნილი და ბრძოლებში გამოწრთობილი სახელოვანი კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, რომელიც საბჭოთა ხალხს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამით შეაიარაღებს. მთელი საბჭოთა ხალხი დიდი აღმავლობით აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას ყრილობის აღსანიშნავად, რათა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს დიად სამუშაოთა პროგრამას. დირექტივების პროექტში ნათქვამია:

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები ის არის, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიაღწიოს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას“.

პროექტით გათვალისწინებულია უდიდეს სამუშაოთა შესრულება ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების დარგში. გამოქვეყნებული ციფრები სიხარულით, პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი მადლობის გრძნობით აღავსებს საბჭოთა საქართველოს თვითეული მშრომელის გულს, უნერგავს მათ დაუშრეტელ ენერგიას მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის საბრძოლველად.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ღირსების საქმეა XX ყრილობისათვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო აამაღლონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის მუშაკების შრომითი აქტივობა, მიაღწიონ ახალ წარმატებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, უზრუნველყონ პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობის, მათი იდეურ-პოლიტიკური ცხოვრების ახალი მძლავრი აღმავლობა, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის მთელი ძალების მობილიზაცია.

საქართველოს კომუნისტები თავიანთ ყრილობას ხვდებიან მათ წინაშე მდგომ დიად ამოცანათა გადაწყვეტისათვის სრული მზადყოფნის ვითარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მტკიცედ დარაზმული საქართველოს კომუნისტური პარტია მთელ ძალღონეს მოახმარს რესპუბლიკის მშრომელების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის შემდგომ ამაღლებას და მტკიცედ გასწევს წინ, კომუნიზმის მშენებლობის გზით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის პასუხი

ამერიკულ ჟურნალ „ვისიონის“ („ვისაო“) რედაქტორის კითხვებზე

კითხვა: ხომ არ აპირებს საბჭოთა კავშირი დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც ასეთი ურთიერთობა ამჟამად არ არის?

პასუხი: საბჭოთა კავშირი, რა თქმა უნდა, მზად არის დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც ასეთი ურთიერთობა ჯერჯერობით არა აქვს. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ განვავითაროთ საერთაშორისო ურთიერთობა და თანამშრომლობა ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის ლათინური ამერიკის ქვეყნებთანაც.

კითხვა: რა სარგებლობას იღებს საბჭოთა კავშირი იმით, რომ დიპლომატიური ურთიერთობა აქვს არგენტინასთან, მექსიკასა და ურუგვაისთან?

პასუხი: სსრ კავშირის არსებულ ურთიერთობას არგენტინასთან, მექსიკასა და ურუგვაისთან, როგორც ჩვენ გვგონია, სარგებლობა მოაქვს ორივე მხარისათვის. ეს ურთიერთობა აადვილებს ამ სახელმწიფოების თანამშრომლობას იმ საკითხებში, რომლებიც ეხება მშვიდობის დაცვასა და განმტკიცებას, იგი ხელს უწყობს სსრ კავშირსა და ამ ქვეყნებს შორის ეკონომიური, კულტურული და სხვა ურთიერთობის განვითარებას. მაგალითად, ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაფართოვდა ვაჭრობა საბჭოთა კავშირსა და არგენტინას შორის. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ შემდეგშიც ჩვენი ურთიერთობა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან განვითარდება მხარეთა ურთიერთსასარგებლოდ, საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

კითხვა: რა დაპირებას მისცემდა საბჭოთა კავშირი ლათინური ამერიკის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაურევლობის შესახებ?

პასუხი: სსრ კავშირი არ ერევა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში და მიაჩნია, რომ სხვა სახელმწიფოებიც არ უნდა ერეოდნენ საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს ყველა სახელმწიფოს — დიდი თუ პატარა სახელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემა, იმის აღიარება, რომ ყველა ხალხს აქვს დამოუკიდებელი ეროვნული და სახელმწიფოებრივი განვითარების უფლება. სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა და მეგობრული თანამშრომლობა, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებისა, — ასეთია ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრინციპი.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამას სრული ძალა აქვს აგრეთვე საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში ლათინური ამერიკის ქვეყნებთან.

კითხვა: ხომ არ გეგმავს საბჭოთა კავშირი გაადიდოს თავისი ვაჭრობა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან და რა ნაბიჯები გადაიდგმება ამ მხრივ?

პასუხი: საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ ვაჭრობა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან განვითარდეს ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

კითხვა: ხომ არ აპირებს საბჭოთა კავშირი მონაწილეობა მიიღოს ლათინური ამერიკის ქვეყნების სხვა სამრეწველო ბაზრობებში, მსგავსად იმ ბაზრობისა, რომელიც ამას წინათ ბუენოს-აირესში გაიმართა. იქნება თუ არა ამ ბაზრობებში სხვა სამრეწველო საქონელთან ერთად ატომის ენერგიის განვითარების ექსპონატები?

პასუხი: ბუენოს-აირესში 1955 წლის საბჭოთა სამრეწველო გამოფენა ერთ-ერთი იყო იმ მრავალ გამოფენათაგან, რომლებიც სსრ კავშირმა სხვა ქვეყნებში ამ უკანასკნელ ხანს გამართა. საბჭოთა კავშირი კვლავაც გამართავს ასეთ გამოფენებს და მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ბაზრობებში, გაითვალისწინებს რა ამასთან შესაბამისი ქვეყნების მთავრობათა სურვილს და ურთიერთ დაინტერესებას. გამორიცხული არ არის, რომ გამოფენებსა და ბაზრობებზე ნაჩვენები იქნება ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების ექსპონატები. საბჭოთა კავშირმა უკვე უჩვენა ასეთი ექსპონატები 1955 წელს ჟენევისა და დელის გამოფენებზე.

კითხვა: რა საქონლის მიწოდება შეუძლია საბჭოთა კავშირს ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის და რის ყიდვას მოისურვებს საბჭოთა კავშირი ამ ქვეყნებში?

პასუხი: საბჭოთა კავშირს მრავალი საქონელი გააქვს ურთიერთ დაინტერესების პირობით. კერძოდ, საბჭოთა კავშირს შეუძლია მიაწოდოს ლათინური ამერიკის ქვეყნებს სხვადასხვა სახეობის სამრეწველო მოწყობილობა და მანქანები, მათ შორის ნავთობის მრეწველობის მოწყობილობა, კომპლექტური მოწყობილობა ცალკეული საწარმოებისათვის, ჩარხები, ინსტრუმენტები, ავტომობილები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები. თუ საჭირო იქნება, საბჭოთა კავშირს შეუძლია გაუწიოს ტექნიკური დახმარება და დახმარება სპეციალისტებით, აგრეთვე გაუზიაროს გამოცდილება მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის დარგში. მოწყობილობისა და მანქანების გარდა საბჭოთა კავშირს გააქვს აგრეთვე მთელი რიგი სხვა საქონელი, რომელიც შეიძლება ინტერესს წარმოადგენდეს ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის, მაგალითად, ხე-ტყის მასალები და ცელულოზ-ქაღალდის ნაწარმი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, შავი ლითონების ნაგლინი, ცემენტი, აზბესტი, საღებრები, ქიმიური და სხვა საქონელი. თავის მხრივ ჩვენს ქვეყანას შეუძლია ლათინური ამერიკიდან შემოიტანოს სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის, სამთამადნო მრეწველობის პროდუქტები. სსრ კავშირსა და ბევრ სხვა ქვეყანას შორის საქონელგაცვლის პრაქტიკამ დაადასტურა ასეთი გაცვლის ურთიერთსარგებლობა და მიზანშეწონილობა.

კითხვა: საბჭოთა კავშირი ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ვაჭრობაში ამჯობინებს მთავრობებთან იქონიოს საქმე თუ კერძო კორპორაციებსა და ცალკეულ პირებთან?

პასუხი: თავის საგარეო ვაჭრობაში საბჭოთა კავშირს საქმე აქვს როგორც სახელმწიფო ორგანიზაციებთან, ისე კერძო გაერთიანებებსა და ცალკეულ პირებთან.

კითხვა: ხომ არ აპირებს საბჭოთა კავშირი წაახალისოს ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ურთიერთ სტუმრობა?

პასუხი: დიახ, აპირებს.

კითხვა: ხომ არ განიხილავს საბჭოთა კავშირი საკითხს იმის შესახებ, რომ ნება დართოს ლათინური ამერიკის ავიახაზებს, რომლებიც ამჟამად ევროპაში გადიან, გაავრცელონ თავიანთი მარშრუტები საბჭოთა კავშირის ქალაქებზე?

პასუხი: ეს საკითხი სპეციალურ განხილვას მოითხოვს, რადგან აქ გადამწყვეტ როლს ასრულებს კონკრეტული პირობები და ხელშეკრულების დამდები მხარეების მოთხოვნილებანი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რუსეთის სფსრ სახალხო მხატვრის მოქანდაკე ს. ტ. კონენკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების დარგში დამსახურებისათვის რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარი მოქანდაკე სერგი ტიმოთეს-ძე **კონენკოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი.
1956 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბელორუსიის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო დიდი თეატრის სოლისტის ნ. დ. ვორვულევისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება ბელორუსიის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო დიდი თეატრის სოლისტს ნიკოლოზ დმიტრის-ძე **ვორვულევს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი.
1956 წლის 17 იანვარი.



თბილისი. ახალ საცხოვრებელ სახლთა კორპუსები ვაკის პარკის მთავარი შესასვლელის პირდაპირ. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XX ყრილობის დირექტივების პროექტს

★ ★

ჩარხმშენებლების პიროობა

დილიდანვე არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იყო კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის საამქროებში. საღამოს 5 საათია. მუშაობა დაამთავრა პირველმა ცვლამ. შეწყვიტეს ხმაური მძლავრმა ჩარხებმა და მანქანა-დანადგარებმა. მუშებმა, მოსამსახურეებმა თავი მოიყარეს მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა მეექვსე ხუთწლედის გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის გამოქვეყნებას.

ჩარხმშენებლებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ქარხნის დირექტორის ნ. კაზიკაძის ინფორმაცია.

— ახალი ხუთწლიანი გეგმა, — თქვა ამხ. კაზიკაძემ, — ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი ზრდისა და აყვავების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობის მტკიცე საწინდარია. ეს გეგმა კიდევ უფრო მნიშვნელოვან, გაზრდილ ამოცანებს უსახავს ჩვენი ქარხნის კოლექტივს. იმისათვის, რომ პირნათლად გავანაღდოთ სახელმწიფო დავალებები, მკვეთრად გავზარდოთ ჩარხების გამოშვება, სწრაფად უნდა გარდავქმნათ მუშაობა ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად, ფართოდ დავნერგოთ წარმოებაში ყოველივე პროგრესული, მკვეთრად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება.

დამსწრენი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ მეცხრე საამქროს მოწინავე ხარატის ა. მჟავანაძის გამოსვლას.

— პროექტი მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებისა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, — თქვა მან, — კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკისა. ჩვენ გვსურს მშვიდობა, რათა ჩვენი შრომით ავაშენოთ კიდევ უფრო ბედნიერი მომავალი. საამქროს კოლექტივის დავალებით გადმოგცემთ, რომ ვალდებულებას ვკისრულობთ ყოველი თვის დავალება 103 პროცენტით შევასრულოთ.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე გ. ბენდუქიძე, ხარატი ი. მატვეევი, ამწყობი საამქროს უფროსი ი. ქურდაძე და სხვები.

მეჯალურგეების ქალაქში

რუსთავი. (საკ. კორ). საგიტაციო საუბრები, რომლებიც ამ დღეებში რუსთავში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ყველა საამქროში, აზოტოვანი სასუქების ქარხანაში და ახალმშენებლობათა ობიექტებზე იმართება, ხალხმრავალ მიტინგებს მოგვაგონებენ. მეტალურგები, ქიმიკოსები, მშენებლები და მემონტაჟეები ღრმა ინტერესით ეცნობიან სკკპ XX ყრილობის დირექტივების პროექტს 1956-1960 წლის მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ეს დადმნიშვნელოვანი დოკუმენტი მეფოლადეებს გააცნო მარტენის საამქროს პარტბიუროს მდივანმა შ. კუხალეიშვილმა.

— ახალი ხუთწლიანი გეგმა გრანდიოზულ ამოცანებს სახავს მძიმე ინდუსტრიის მუშაკებს, კერძოდ, ჩვენი საამქროს კოლექტივის წინაშე, — განაცხადა ჩქაროსანმა მეფოლადემ ა. ფანკულაიამ. — მართალია, უკანასკნელ ხანს გეგმას გადაჭარბებით ვასრულებთ, პირადად ჩემმა ბრიგადამ მარტო იანვრის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით 350 ტონა ფოლადი გამოადნო, მაგრამ ფოლადის წარმოების გადიდების ყველა არსებულ რეზერვს ჯერ კიდევ მაქსიმალურად ვერ ვიყენებთ. ჯერ ისევ დაბალია ღუმელის თვითეული კვადრატული მეტრი ქვედიდან ფოლადის გამოსავლიანობის დონე, არის წუნის შემთხვევები, მოცდენა, ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას...

ა. ფანკულაიამ მეფოლადეებს ამ ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრისაკენ მოუწოდა და თავის მხრივ იკისრა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად მარტო იანვარში გეგმის გადამეტებით 600 ტონამდე ფოლადი მისცეს საამშობლოს.

გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მეფოლადეთა ბრიგადირებმა თ. ბარბაქაძემ, გ. სეფისკვერიძემ, ზ. ყაველაშვილმა და სხვ.

გრანიტის კარიერებზე

ოკრპირი. (საკ. კორ.). დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ კურსების გრანიტის კარიერებისა და ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XX ყრილობის დირექტივების პროექტის გამოქვეყნებას. ჩვენი სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის დასახული ამ დიადი პროგრამის გაცნობას გრანიტის ქვის დამმუშავებლები მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდნენ. გასული 1955 წლის გეგმა მათ შესრულებული აქვთ 27,4 პროცენტის გადამეტებით, ხოლო იანვრის დასაწყისიდანვე ისინი გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ და უკვე გაუგზავნეს ზეგეგმითი საშენი გრანიტი მთელ რიგ აშენებლობებს.

კარიერების მუშებს შორის საუკეთესოდ მუშაობენ და მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ ქვის მტეხლები ი. აბესაძე, ი. ქათამაძე, ა. გიორგაძე, ა. ბერეკაშვილი და ი. იურჩენკო. ახლახან აქ გამართეს მძლავრი სამსხვრევი დანადგარი, რომელიც მშენებლობებისათვის ამზადებს გრანიტის ღორღს. დაწყებულია აგრეთვე მუშაობა გრანიტის ქვის სუფთად გასათლელი მექანიზმების გასამართავად.

საქართველოს მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. სურათზე: ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს ოსტატი ვ. კობერიძე მებრძმედეებს აცნობს პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. ფოტო ვ. გინზბურგისა.

მოწინავე მაღაროელთა ვალდებულება

ჰიათურა. (საკ. კორ.). ჰიათურელი მაღაროელები გულდასმით ეცნობიან და ერთსულოვნად იწონებენ ახალი ხუთწლედის პროექტს. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელმაც საპროექტო სიმძლავრეს 35 პროცენტით გადაჭარბა, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შინაარსის გაცნობისას იკისრა მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა შეასრულოს 5 დეკემბრისათვის.

დიდი შრომითი აღმავლობით აღნიშნავენ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტის გამოქვეყნებას სტალინის სახელობის მაღაროში. ამ მაღაროს წარჩინებულმა მნგრეველმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ტ. ფოფხაძემ საგიტაციო საუბრის შემდეგ განაცხადა:

— გვახარებს და ყველა ჩვენგანს ახალ ენერგიას მატებს იმის შეგნება, რომ მეექვსე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლებას. ამ დიდი მზრუნველობის პასუხად კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობის ტემპს, დედა-სამშობლოს არ მოვაკლებთ მარგანეცის ძვირფას მადანს.

მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების დიდი დოკუმენტი

თელავი. (საკ. კორ.). დიდი ინტერესით ეცნობიან თელავის რაიონის მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

რაიონში იმართება აგიტატორთა საუბრები, ეწყობა გაზეთების ხმამაღალი კითხვა. სოფელ ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ხანჯალაშვილმა აგიტატორის საუბრის დამთავრების შემდეგ თქვა: — სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული ამოცანები ერთხელ კიდევ მკაფიოდ ადასტურებენ ჩვენი მშობლიური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ვარდისუბნის კოლმეურნეობამ გასულ სამეურნეო წელს სასახელოდ იმუშავა. საგრძნობლად გაზარდა სოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მივიღეთ 1.260 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 ლიტრისა, გადაჭარბებით გავანაღდეთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმაც. კოლმეურნეთა სახელით პირობას ვიძლევი, მთლიანად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები და 1960 წლისათვის გათვალისწინებული დავალება სამ წელიწადში გავანაღდოთ.

მეცხოველეობის ფერმის მწველავი გ. თუშიშვილი პირობას დებს ისე მოაწყოს მუშაობა, რომ მიმდინარე წელსვე თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღოს 3.000 ლიტრი რძე. მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ფერმის მუშაკი ა. სუმბაძე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს ეცნობიან და ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ სოფელ კურდღელაურის, კონდოლის, რუისპირისა და სხვა კოლმეურნეობებში.

★ ★

ახალ გამარჯვებათა მოპოვების კონკრეტული პროგრამა

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის მშრომელები უდიდესი ინტერესით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ყველგან — კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ფაბრიკებში, ქარხნებსა და დაწესებულებებში მშრომელები მასობრივად ეცნობიან ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს და პატრიოტული სიამაყის გრძნობით მიესალმებიან მის გამოქვეყნებას.

ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ოპერატორმა ს. ჩანტლაძემ დირექტივების პროექტის შინაარსის გაცნობის შემდეგ საგიტაციო საუბარზე განაცხადა:

— ის, რაც ჩვენ აქ მოვისმინეთ მეექვსე ხუთწლედის შესახებ, საბჭოთა ხალხის ახალ გამარჯვებათა მოპოვებისათვის ბრძოლის კონკრეტული პროგრამაა. იგი ცხადად მოწმობს პარტიისა და მთავრობის შეუნელებელ ზრუნვას ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ამ ზრუნვის პასუხად ჩვენ კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ მუშაობას, უზრუნველვყოფთ შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას და ამის საფუძველზე ახალი საწარმოო მიღწევების მოპოვებას.

ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში დირექტივების პროექტის შინაარსს გაეცნო ყველა მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი და მოსამსახურე.

— ჩვენთვის, მანქანათმშენებლებისათვის, — განაცხადა მოწინავე ხარატმა შ. ვადაჭკორიამ, — განსაკუთრებით საგულისხმო და სასიხარულოა ის, რომ დირექტივების პროექტი კვლავ ითვალისწინებს მძიმე ინდუსტრიის — ჩვენი სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძვლის უპირატეს განვითარებას, რაც ჩვენს სამშობლოს თავისუფალი ცხოვრების მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადააქცევს. მე ვკისრულობ, რომ ჩემი პირადი საწარმოო გეგმა ყოველდღიურად 250-300 პროცენტით შევასრულო და ამით ჩემი წვლილი შევიტანო მეექვსე ხუთწლედის განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო შრომითს ლაშქრობაში.

ყველა რეზერვსა და შესაძლებლობას გამოვიყენებთ

აბაშა. (საკ. კორ). მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე, რომელიც პარტიის XX ყრილობის დირექტივების გაცნობას მიეძღვნა, კომკავშირული სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. სტორჩაგმა განაცხადა:

— მშობლიური კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებისათვის, ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია გრანდიოზული ამოცანების განხორციელება. ამ კეთილშობილურ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შევიტანოთ მექანიზატორებმა. ბრიგადაში მომუშავე ტრაქტორისტების სახელით ვკისრულობ წელს ყველა სახის სატრაქტორო სამუშაო აგროვადებისა და ხარისხის დაცვით 150 პროცენტით შეასრულო.

მტს-ის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური დავალება გაანაღდოს 115 პროცენტით.

— ყრილობის დირექტივებით, — თქვა სოფელ სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის დელეგატმა ამხ. შ. გახოკიძემ, — დასახულია მისებისათვის. ამ ზრუნვის პასუხად ჩვენ კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ მუშაობას, უზრუნველვყოფთ შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას და ამის საფუძველზე ახალი საწარმოო მიღწევების მოპოვებას.

ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში დირექტივების პროექტის შინაარსს გაეცნო ყველა მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი და მოსამსახურე.

— ჩვენთვის, მანქანათმშენებლებისათვის, — განაცხადა მოწინავე ხარატმა შ. ვადაჭკორიამ, — განსაკუთრებით საგულისხმო და სასიხარულოა ის, რომ დირექტივების პროექტი კვლავ ითვალისწინებს მძიმე ინდუსტრიის — ჩვენი სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძვლის უპირატეს განვითარებას, რაც ჩვენს სამშობლოს თავისუფალი ცხოვრების მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადააქცევს. მე ვკისრულობ, რომ ჩემი პირადი საწარმოო გეგმა ყოველდღიურად 250-300 პროცენტით შევასრულო და ამით ჩემი წვლილი შევიტანო მეექვსე ხუთწლედის განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო შრომითს ლაშქრობაში.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზაზე

ვ. ძერძაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ხვდებიან მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო საბჭოთა ხალხის მტკიცედ დარაზმვის ვითარებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ წინგადადგმული დიდი ნაბიჯია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. დირექტივების პროექტი მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს გააჩაღონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ეს დოკუმენტი საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს აღაფრთოვანებს იმისათვის, რომ ახალი ძალით შეუდგნენ დავალებათა შესრულებას, უზრუნველყონ მარცვლეულის წარმოებისა და მეცხოველეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა, ენერგიულად ჩაებან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

ახორციელებენ რა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს მშრომელებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში.

ძვირფასი ტექნიკური და მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობის ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების შედეგად გაიზარდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი

1953 წელს კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები სამ მილიარდ 285 მილიონ მანეთს შეადგენდა, ხოლო 1955 წელს მან სამ მილიარდ 420 მილიონ მანეთს გადააჭარბა. გაიზარდა აგრეთვე კოლმეურნეობებში წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება: 1953 წელს იგი შეადგენდა ორ მილიარდ 760 მილიონ მანეთს, 1955 წლისათვის კი წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულებამ ორ მილიარდ 823 მილიონ მანეთს მიაღწია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, საქართველოს კოლმეურნეობებში შესამჩნევად შეიცვალა ნათესი ფართობების სტრუქტურა. მარცვლეულის კულტურებისა და, კერძოდ, ხორბლის ნათესი ფართობის შემცირების ხარჯზე გაიზარდა ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბაღჩეულ-ბოსტნეულისა და საკვები კულტურების ფართობები.

1953 წელს თამბაქოს ფართობი საქართველოს კოლმეურნეობებში შეადგენდა 11 ათას ჰექტარს, 1955 წელს კი 14,5 ათას ჰექტარს მიაღწია. ამავე პერიოდში ეთერზეთოვანი კულტურების ფართობი გადიდებულია 800 ჰექტარით.

1953 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში კარტოფილის ნათესი ფართობი შეადგენდა 18 ათას ჰექტარს, ხოლო გასულ წელს 23,5 ათასი ჰექტარი იყო. გადიდებულ იქნა აგრეთვე ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობი 2 ათასი ჰექტარით. საკვები კულტურების ნათესი ფართობი ორი წლის განმავლობაში გაიზარდა 57,2 ათასი ჰექტარით.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა კოლმეურნეობამ და მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი მარცვლეული კულტურების განვითარების საქმეს და საგრძნობი მიღწევები მოიპოვა. წინა წლებთან შედარებით გაიზარდა მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა და გადიდდა მარცვლის საერთო წარმოება. უკანასკნელ წლებში ზოგიერთი კოლმეურნეობა ხორბლის მაღალ მოსავალს იღებს. წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 1954 წელს საშემოდგომო ხორბლის 5.000 ჰექტარი ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე 20,2 ცენტნერი მოსავალი მიიღეს, ხოლო 1955 წელს, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, 4.092 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 18 ცენტნერი; ხორბლის ასეთივე მაღალი მოსავალი მოიყვანეს აგრეთვე სიღნაღის, ლაგოდეხის, კაჩრეთისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა.

გასული წლის გაზაფხულზე კოლმეურნეობებში დაითესა 273,4 ათასი ჰექტარი სიმინდი, ესე იგი 25 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1954 წელს.

სიმინდის ნათესების კარგი დამუშავების შედეგად ბევრმა კოლმეურნეობამ მაღალი მოსავალი მიიღო. თელავის რაიონის სოფელ შალაურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ 156 ჰექტარ ურწყავ ფართობზე ნათესის თვითეულ ჰექტარზე 48 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ 125 ჰექტარი ნათესიდან ჰექტარზე — 42,7 ცენტნერი, ხოლო ველისციხის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა მთელი ნათესი ფართობიდან საშუალოდ — 29,2 ცენტნერი სიმინდი მიიღეს.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გადიდდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. თუ 1953 წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ შესრულებული იყო 2.528 ათასი ჰექტარი სატრაქტორო სამუშაო რბილ ხვნაზე გადაყვანით, 1955 წელს ამ მაჩვენებელმა 2.774 ათას ჰექტარს მიაღწია. თუ 1953 წელს ერთი 15-ძალიანი ტრაქტორის დატვირთვა შეადგენდა 324 ჰექტარს, 1955 წელს იგი 373 ჰექტარს უდრიდა.

უფრო გაბედულად ინერგება ჩვენს კოლმეურნეობებში პროგრესული აგროღონისძიებანი — კვადრატულ-ბუდობრივად, ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვა, თუმცა ეს ღონისძიებანი ჯერ კიდევ ყველგან არ არის შემოღებული იმ მოცულობით, როგორც ეს შესაძლებელი და საჭიროა მოსავლიანობის შემდგომი ზრდის თვალსაზრისით.

1955 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ჩაის მწვანე ფოთლის, ყურძნის, აბრეშუმის პარკისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმები.

რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და კოლმეურნეობებმა ამ ბოლო ხანებში დიდი სამუშაოები ჩაატარეს საკვები ბაზის განმტკიცებისა და პირუტყვისათვის კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობის დარგში. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე განხორციელებული ღონისძიებანი. ახლად აშენდა ცხვრის მთელი სულადობისათვის სადგომები და ფერმის მომსახურე პერსონალისათვის საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე სხვა დამხმარე ნაგებობანი.

ფართოდ ინერგება აგრეთვე მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია — ელექტროწველა, ეხლში და კონცენტრირებული საკვების გადამუშავება, წყლის ავტომატური დალევნება, ელექტროპარსვა და სხვ.

მთელი რიგი წლების მანძილზე არ სრულდებოდა მეცხოველეობის განვითარების დავალებანი. მხოლოდ 1955 წელს პირველად იქნა გადაჭარბებით შესრულებული ძროხების წველადობის გეგმა. საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მოწველილია 786 კილოგრამი რძე, ანუ გეგმის 112,3 პროცენტი. რძის საერთო წარმოება რესპუბლიკაში გადიდდა 41,5 ათასი ტონით. შედარებით მაღალ წველადობას მიაღწიეს ბათუმის, ზოგდანოვკის, გარეუბნის, ქობულეთის, დმანისის, წითელწყაროს, წალკისა და ზოგიერთი სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობა კვლავ ჩამორჩენილია. საკვები ბაზის განმტკიცების, პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და სულადობის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისადმი არაუკმაო ყურადღების შედეგად განვლილ სამეურნეო წელს მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებს არ შეუსრულებიათ რძის წველადობის სახელმწიფო გეგმა. მაგალითად, კასპის, ხაშურის, ბორჯომის რაიონების კოლმეურნეობებმა გეგმა მხოლოდ 75,5 პროცენტით შეასრულეს, ხოლო ქუთაისის რაიონმა — 79,6 პროცენტით.

განსაკუთრებით შემცირდა წველადობა ახმეტის, ჰიათურის, ჩოხატაურის, ადიგენის, თიანეთის, ცხაკაიას და აფხაზეთის ასსრ რაიონების კოლმეურნეობებში.

რესპუბლიკაში ცხვრის სულადობის გეგმა 1955 წლის პირველი ოქტომბრისათვის შესრულებულია 102 პროცენტით, საგრძნობლად შემცირდა ცხვრის სიკვდილიანობა.

გასულ წელს რესპუბლიკაში საშუალოდ ერთ ცხვარზე მიღებულია 2,7 კილოგრამი მატყლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,4 კილოგრამისა, წინა წლებთან შედარებით მატყლის ნაპარსი საშუალოდ ერთ ცხვარზე გადიდებულია 0,5—0,6 კილოგრამით.

გაცილებით უკეთ მოემზადნენ კოლმეურნეობები ზამთრისათვის. ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე მოიმარაგეს 371.250 ცენტნერი თივა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 367.730 ცენტნერისა. თვითეული ცხვრისათვის საშუალოდ დამზადებულია 153 კილოგრამი თივა ნაცვლად გათვალისწინებული 150 კილოგრამისა.

შარშან ჩადებულ იქნა 660 ათასი ტონა სილოსი, ესე იგი 306,7 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1954 წელს. გასულ სამეურნეო წელს კოლმეურნეობებმა პირველად განახორციელეს სიმინდის ტაროების დასილოსება რძის სებრ-ცვილისებრ სიმწიფეში. ეს ძვირფასი საკვები დაამზადეს 17 ათასი ტონის რაოდენობით, მაგრამ უხეში საკვების დამზადების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 82,9 პროცენტით, მათ შორის თივისა — 83,6 პროცენტით.

ამჟამად კოლმეურნეობებში მიმდინარეობს საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები. პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ვალია ქმედითი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს, ღრმა ანალიზი გაუკეთონ თვითეული კოლმეურნეობის, ბრიგადისა და მეცხოველეობის ფერმის მუშაობას, განზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება და გამოავლინონ ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას. ამასთან ერთად დასახონ კონკრეტული ღონისძიებები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდისათვის.

ჩვენი უახლოესი ამოცანაა წარმატებით ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები. ამისათვის საჭიროა დაწესებულ ვადებში და სათანადო ხარისხით დავამთავროთ ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი, ამავე დროს მოვამზადოთ საკოლმეურნეო ინვენტარი და გამწევი ძალა. მინდვრებში დროულად გავიტანოთ მინერალური და ორგანული სასუქები, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სათესლე მასალის მომზადებას.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მთელი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი გადაუდებელი ამოცანების გადაჭრას.

ყოველი ღონისძიებით უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, განსაკუთრებით საზოგადოებრივი მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის სახელით, ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად

საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის დელეგატების ჯგუფი: (მარცხნიდან მარჯვნივ) გაგრის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. მრეკვანია, ქუთაისის საელექტროენერგეტიკო დეპოს მემანქანე ო. მელაძე, თელავის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კოკილაშვილი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი ბ. ნანიტაშვილი, თბილისის საორჯონიკიძეო დეპოს ინსტრუქტორ-მემანქანე შ. კოტრიკიძე, ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავი ბ. ჯინჭარაძე, სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკის ბრიგადირი ზ. ფიტოცვა, ლაგოდეხის რაიონის ჭაეჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ყაველაშვილი, ოჩამჩირის რაიონის სუფოროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ბ. ფოცუა, წალენჯიხის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავი ა. სარია, გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ჩ. ქვაჩახია, ზუგდიდის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი თ. ყუფუნია, ინგურის ჭალადიდის კომბინატის მოწინავე მუშა მ. როგოლოკა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ლაპარაკობენ ყრილობის დელეგატები

810 ფუთი სიმინდი მარცვლად

სიმინდი ძვირფასი სამარცვლე და სასილოსე კულტურაა. კარგი მოვლის პირობებში სწრაფად იზრდება და მოსავალსაც უხვად იძლევა. საფუძვლიანად მაქვს შესწავლილი სიმინდის მოყვანის აგროტექნიკა, მოწინავე გამოცდილება და ყოველ წელიწადს ვაღწევ მაღალი მოსავლის მოყვანას.

სიმინდის მოყვანისათვის მუშაობა კიდევ უფრო გავაძლიერეთ მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ. ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, შარშან 15 ჰექტარზე დროულად და ხარისხიანად დათესა სიმინდი, გაამუჯობესა მოვლა-დამუშავება, და შედეგიც კარგი მიიღო. გეგმით გათვალისწინებული იყო 15 ჰექტარზე მიგვეღო 476 ცენტნერი მარცვალი. ფაქტიურად დავალებას სამჯერ და უფრო მეტად გადავაჭარბეთ — მოვიყვანეთ 1.640 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

პირადად მე ერთ ჰექტარ სიმინდის ფართობს ვუვლიდი. იგი გულმოდგინედ დავამუშავე, გამოვიყენე წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილება და მოვიყვანე 810 ფუთი სიმინდი მარცვლად.

საკოლმეურნეო შრომაში ჩემს გვერდით დავაკაცდნენ აგრეთვე გამოჯე კოლმეურნეები ჯოდო გამისონია, ვალიკო ცაცუა, ვანო ქვაჩახია და სხვები. ჯ. გამისონიამ ნოვატორთა გამოცდილების გამოყენებით დაამუშავა ერთი ჰექტარი ფართობი და 600 ფუთი სიმინდი მიიღო, ვანო ქვაჩახიამ კი — 660 ფუთი.

მიღწეული წარმატებები ზღვარი როდია. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა წელს უფრო ავამაღლოთ სიმინდის მოსავლიანობა. ამისათვის აქედანვე გავაჩაღეთ მუშაობა. დროულად გავწმინდეთ ფართობები სიმინდის ნარჩენი ღეროებისა და სარეველა ბალახისაგან. ამჟამად მიმდინარეობს ხვნა, ვამარაგებთ სხვადასხვა სასუქებს.

ბრიგადის წევრებმა ვალდებულება იკისრეს წელს 15 ჰექტარზე მიიღონ 2.000 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. მე კი ამოცანად დავისახე ერთ ჰექტარზე უზრუნველვყო 1.000 ფუთი სიმინდის მიღება.

ჩ. ქვაჩახია,
გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სტალინური პრემიის ლაურეატი, ყრილობის დელეგატი.

შემდგომ გავაღიდებთ მოსავლიანობას

ბრიგადა, რომელსაც 15 წელია ვხელმძღვანელობ, აგროწესების ზუსტად განხორციელების შედეგად ყოველწლიურად ასრულებს ჩაის, სიმინდის, ყურძნის, ბრეშუმის პარკის მოსავლიანობის გეგმებს. გასულ წელს ბრიგადისათვის მოსავლელად მიჩენილი 12 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ 6.685 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი. სულ კი მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 114.496 კილოგრამი სედლეული, როცა გეგმა 70 ათას კილოგრამს ითვალისწინებდა. მოკრეფილი ჩაის ფოთლიდან 92 პროცენტი პირველი ხარისხისაა. მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 15 ტონა ლარჩი, ანუ დავალებაზე თითქმის ოთხჯერ მეტი.

გასულ წელს 13 ჰექტარზე გვეთესა სიმინდი. ჰექტარზე საშუალოდ 56,5 ცენტნერი მოსავალი მივიღეთ, რაც 26,5 ცენტნერით აღემატება გეგმას. მოვიყვანეთ ყურძნის და აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავალიც.

ახლა გაჩაღებულია ჩაის საზამთრო სამუშაოები, ვამთავრებთ ჩაის მსუბუქ გაღაბარვას და ფოსფოროვანი სასუქის შეტანას. ახალგაზრდა ჩაის პლანტაციები შემოვაკავეთ, შემოვბარეთ, გავწმინდეთ სადრენაჟო არხები, შევიტანეთ მინერალური სასუქები.

ამჟამად ვმუშაობთ სასიმინდე ფართობის მოსამზადებლად. ფართობი შემოვაკავეთ, გავასუფთავეთ სიმინდის ღეროებისაგან, დავიწყეთ ხვნა. მოხნულია 7 ჰექტარი. ბრიგადამ ვალდებულება იკისრა გაადიდოს სიმინდის ფართობი. ამ მიზნით 2 ჰექტარი ყამირი მიწა ავითვისეთ.

პირობას ვიძლევით, რომ წელს უკეთესად ვიმუშავებთ, ვიდრე გასულ წელს. ჩაის მოსავლიანობას ჰექტარზე გავზრდით 9 ათას კილოგრამამდე, 15 ჰექტარი სიმინდის ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 60 ცენტნერ სიმინდს მარცვლად.

თ. ყუფუნია,
ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ყრილობის დელეგატი.

საწარმოო მიღწევები

ზეგეგმითი აგური

საბურთალოს აგურის მექანიკური ქარხნის კოლექტივი კვლავ წარმატებით განაგრძობს მუშაობას, სისტემატურად ყოველდღე გეგმის გადაჭარბებით იძლევა მაღალხარისხოვან აგურს. 16 იანვრისათვის აქ გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვეს 270.000 ცალი წითელი აგური.

ქარხანამ აითვისა და ახლა მასობრივად უშვებს ღრუ აგურს, რომელსაც მშენებლები დიდი ხალისით ეტანებიან.

საბურთალოელმა მეაგურეებმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად იკისრეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღისათვის — 25 თებერვლისათვის შეასრულონ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა და სამშობლოს მისცენ 1,5 მილიონი ცალი ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი აგური.

სკრეპერები, ელექტრომოწყობილობა — სოფელს

თბილისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი მნიშვნელოვანი საწარმოო მიღწევებით შეეგება საქართველოს კომუნისტების მორიგ, მეცხრამეტე ყრილობას. მათ გადაჭარბებით შეასრულეს 1955 წლის გეგმა და წარმატებით შეუდგნენ მიმდინარე წლის გეგმების შესრულებას.

ქარხანა ახლა სრული დატვირთვით მუშაობს, დანიშნულ ვადებში უგზავნის თავის პროდუქციას მომხმარებლებს. იანვარში ქარხნის კოლექტივმა უკვე გაგზავნა დანიშნულებისამებრ 72 სკრეპერი და ამჟამად მუშაობს 24 სკრეპერის აწყობაზე. დაეგზავნათ საჭირო ელექტრომწყობილობა რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლებს.

მოძრავ სამჭედლო სახელოსნოზე რესპუბლიკის კოლმეურნეობები დიდ მოთხოვნილებას აყენებენ. ასეთი სახელოსნოები განსაკუთრებით საჭიროა მარცვლეულის რაიონებში. ელექტრომექანიკურ ქარხანაში აითვისეს და უკვე შეუდგნენ ასეთი სახელოსნოების კეთებას.

ელექტრომექანიკოსებმა იკისრეს პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად პირველ რიგში გააკეთონ 10 მოძრავი სამჭედლო სახელოსნო.

დელეგატები ერთმანეთს ხვდებიან

რაიკომის ბიუროზე მღარავლევან გოქაძის მოხსენება იდგა.

„ნეტავ ჩემს საღარავ ჩარხებთან ვიყო ახლა!. იქ თვალსაჩინოებით ვილაპარაკებდი, ჩარხებთან უფრო მეადგილება თქმა“, — ფიქრობდა ლევანი.

„თქმა“ ლევანისთვის უშუალოდ საქმეა — იგი ლაპარაკობს ურთულესი დეტალების დამუშავებით, დანადგარების გაუმჯობესებით, რამდენიმე საწარმოო ოპერაციის ერთდროულად შესრულებით, ნახევარავტომატის დეტალების დამუშავების შეცვლით და ფერადი ლითონის ეკონომიით, მაღალკვალიფიციური მღარავების აღზრდით, ჩაის სასხლავი მანქანის დეტალების დაამუშავებელი ახალი ხელსაწყოს გამოგონებით, ხუთ ჩარხ-ნახევარავტომატზე ერთდროულად მუშაობით, შრომის ნაყოფიერების რამდენჯერმე გადიდებით, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით, ტექნიკის უფალა მიღწევის დანერგვით, ძნელად მოსაპოვებელი ინსტრუმენტების დამზადებით, ნორმის ერთიოსუთად შესრულებით...

ასეთია ლევან გოქაძის საატყვა იქ, ჩარხებთან, საამქროში.

„ბიუროზე კი ყოველივე ამის შესახებ, ჩემს თავზე, ლაპარაკი... რალაც უხერხული ხომ არ იქნება? აი, ვახია კოჩჩაგინზე რომ მალაპარაკონ ან გიორგი ხაჩატუროვზე, მესმის“...

ვახიაც და გიორგიც ლევანის ღირსეული მოწაფეები არიან, მაღალკვალიფიციური მღარავები, წარმოების მოწინავე კომუნისტები, ორი იმ ოცდაორმეტთაგან, ვინც ლევანს წარმოებაში ოცდაორი წლის მუშაობის მანძილზე აღუზრდია...

ზომაზე მეტი თავმდაბლობის მიუხედავად, ლევანმა ბიუროს მოახსენა თავისი მუშაობის გამოცდილება, ის „ხაიდუმლოება“, რითაც წარმატებას აღწევს. რაიკომის ბიურომაც საათანადო დადგენილება მიიღო. ეს იყო რამდენიმე თვის წინათ. დღეს კომუნისტი მღარავის, მრავალდაზგოსან ლევან გოქაძის მუშაობის გამოცდილება მოლოტოვის რაიონის საწარმოთა მუშების კუთვნილებად არის ქცეული.

ლევან გოქაძის ცხოვრების გზა სწავლის, შრომის, ბრძოლის, კვლავ შრომისა და სწავლის გზაა.

„ეჰ, შრომამ მომტეხა და უდროოდ დამაბერა, თორემ ხანი იმდენი არა მაქვსო“, — ისმოდა წარსულში უდროოდ მოხუცებული ადამიანის ჩივილი. ცხადია, შრომა, როცა ის მონური და უსიხარულო იყო, ჯანში ტეხდა, წელში ხრიდა და უდროოდ აბერებდა კაცს.

სულ სხვაა სოციალისტური შრომა, წარმატებული შრომა და მით მონიჭებული სიხარული, მუდამ რომ გვაახალგაზრდავებს.

ვეხაუბრები ოცდაორი წლის საწარმოო გამოცდილების მქონე ლევანს.

პირველად ამ მრავალმნიშვნელოვან სიტყვებს — „ოცდაორი წლის გამოცდილების მქონე“ — მოვკარი ყური, ლევანს კი მხოლოდ მას შემდეგ შევხვდი, როცა უკვე მისი ასაკი ვარაუდით მქონდა ნაანგარიშევი, ხოლო გარეგნობაზე ჩემი წარმოდგენა შემუშავებული: — „ასე, ორმოცდახუთ-ორმოცდარვა წლის ჭაღარა“.

ასეთ კაცს ვეძებდი საამქროში. ერთ უბანზე, განცალკევებით, შორიახლო მდგომი ხუთი ჩარხი — ნახევარავტომატი სტვენს, გუგუნებს... მათთან ტრიალებს ერთი ახალგაზრდა, სპორტსმენის ტიპისა, მსუბუქი სპეცხალათით, შავგვრემანი, შავთვალა, ახალგაზრდული იერისა, ასე... ოცდაათასას ჰგავს.

მეწყინა. წასულა, ეტყობა, გოქაძე. ვერ მივუსწარი. ალბათ მოწაფე დაუტოვებია. მას ხომ ბევრი მოწაფე ჰყავს.

— გოქაძე ნეტავ მალე დაბრუნდება?—ჩარხების გრიალში ინთქმება ჩემი შეკითხვა.

— ა? — მომიახლოვა ცალი ყური.

— გოქაძე, გოქაძე, — ჩაუძახე. — მალე მოვა?

მან არაფერი მიპასუხა, მოგრიალე ჩარხები ცოტა „დაეშოშმინა“, მერე მომიბრუნდა, მარჯვენა ხელთათმანი წაიძრო და ხელი გამომიწოდა:

— გოქაძე მე ვარ.

. . .

ყრილობის დარბაზის კარს დღეს მრავალთა შორის შეაღებს დელეგატი ლევან გოქაძე, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მრავალდაზგოსანი მღარავი...

რჩეულთა ყრილობის ამ დარბაზის კარს შეაღებენ დელეგატები—კომუნისტები შავიზღვისპირეთიდან თუ ალაზნის ველიდან, მთისა თუ ბარის კოლმეურნეობებიდან. ზოგ მათგანს მკერდს უმშვენებს ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“ — საკოლმეურნეო მინდვრის გმირთა უმაღლესი ჯილდო.

ამ დარბაზის კარს შეაღებენ აგრეთვე ტექნიკისა და მეცნიერების წარმომადგენლები, ვისი შემოქმედებითი ძიებით დაპროექტებულ და შექმნილ ჩარხებთან ასე მამაცურად შრომობენ ადამიანები.

ისინი მონაწილეობას მიიღებენ პარტიის ყრილობაში, პარტიისა, რომელიც ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას წარმართავს.

დელეგატები ერთმანეთს ხვდებიან.

ვლ. თოდუა.

ლაპარაკობენ ყრილობის დელეგატები

* * *

მასწავლებლის სიტყვა

საბჭოთა მასწავლებელი! რა ამაყად გაისმის ეს სიტყვები...

დიდია მასწავლებლის მოვალეობა. პარტიამ მას დააკისრა ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა სამშობლოსადმი, კომუნიზმის საქმისადმი თავდადებისა და ერთგულების სულისკვეთებით. ახალგაზრდობა კი ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალია.

ახალგაზრდობის აღზრდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრშია. პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლა, ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები იმის პირობაა, რომ სკოლა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ცხოვრებას, სწავლება დაუახლოვდეს პრაქტიკას, მოსწავლეებს განუვითარდეთ შრომითი ჩვევები. პოლიტექნიკური სწავლება გულისხმობს იმას, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა წარმატებით შეძლოს როგორც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის განგრძობა, ისე უშუალოდ წარმოებაში შრომა.

ჩვენს სკოლაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა პოლიტექნიზაციასთან დაკავშირებული საგნების — ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის სწავლების გაუმჯობესებისათვის. სასწავლო კაბინეტები შეივსო ახალი ხელსაწყო-იარაღებით, მოეწყო სასკოლო სახელოსნო, რაშიც დახმარება გაგვიწიეს შეფებმა — ზეთის ქარხანამ და არტელმა „მეტეხმა“. სახელოსნოში საკმაო რაოდენობით გვაქვს სახარატო და სადურგლო დაზგები და სხვა ხელსაწყო-იარაღები. პრაქტიკული მეცადინეობის დროს მოსწავლეები ამზადებენ ხელსაწყოებს, მოდელებს და სხვა ნაკეთობებს. გარდა ამისა, შრომითს ჩვევებს ისინი იღებენ სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე.

მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ ახალი საგნებისადმი — სოფლის მეურნეობის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმებისადმი.

თბილისის 77-ე საშუალო სკოლა ერთ-ერთი მოწინავე სკოლაა. აქ აკადემიური წარმატება განკლილი ორი მეოთხედის შედეგებით 86,8 პროცენტს უდრის. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში არ ყოფილა მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის არც ერთი შემთხვევა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე ისახება ახალი ამოცანები, ახალი პერსპექტივები. პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედში ძირითადად განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლება, განვითარდეს პოლიტექნიკური სწავლება. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. პარტიის ამ დავალების განსახორციელებლად მზად არის მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი არმია.

მ. ხუნდაძე,
თბილისის 77-ე სკოლის მასწავლებელი, ყრილობის დელეგატი.

მივცეთ სამშობლოს მეტ ყურძენს

ჩვენი ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავეა სოფელ ჩუმლაყის (გურჯაანის რაიონი) კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. ყოველწლიურად გეგმის გადამეტებით ვაძლევთ სამშობლოს მრავალ ასეულ ცენტნერ ყურძენს. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები ვიოპოვეთ უკანასკნელი წლების განმავლობაში. 1954 წელს 21 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 144,5 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი მივიღეთ, გეგმა კი 77 ცენტნერს ითვალისწინებდა. ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, შარშან ყურძნის მოსავლიანობის დავალება 145 პროცენტით გავანაღდეთ და კოლმეურნეობაში პირველობა მოვიპოვეთ.

პირადად მე ორჯერ გავხდი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. სოგამოფენო კომიტეტმა ბრინჯაოს პატარა მედლითა და რადიომიმღებით დამაჯილდოვა. მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ის იყო, რომ ვინახულე ჩვენი დიადი სამშობლოს გული — მოსკოვი. გაბოფენაზე საფუძვლიანად გავეცანი სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევებს. მიღებულ ცოდნას კარგად ვიყენებ საკოლმეურნეო წარმოებაში.

ბრიგადის ნაკვეთი სანიმუშოდ არის დამუშავებული. რიგთაშორისები მოხნულია, მწკრივები გამოთოხნილია. ნიადაგში საჭირო რაოდენობით შევიტანეთ ორგანული და მინერალური სასუქები. ვახორციელებთ ვაზის მავნებლებისა და დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებებს, აგრეთვე ვენახის რემონტს.

გადავწყვიტეთ წელს თვითეულ ჰექტარზე 145 ცენტნერი ყურძნის მიღება. მაღალი მოსავლის მოყვანას გვპირდებიან ბრიგადის წევრები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი თამარ მაისურაძე, თამარ დურგლიშვილი, დავით მამათელაშვილი, გიორგი დათუაშვილი და სხვები.

წილად მხვდა დიდი ბედნიერება — ვარ საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის დელეგატი. ეს ჩემი ბრიგადის წევრებსაც ახარებს. ჩვენ დაუღალავად ვიბრძოლებთ სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების სანსახელოდ შესრულებისათვის.

გ. კუტიბაშვილი,
გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, ყრილობის დელეგატი.

შესრულების შემოწმება სწორი ხელმძღვანელობის საფუძველია

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქობულეთის რაიონის მშრომელები უმაგალითო აღფრთოვანებით, დიდი პატრიოტული სიამაყის გრძნობით შეხვდნენ სკკპ XX ყრილობის დირექტივების პროექტს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ჩაებნენ რა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ქობულეთელი კომუნისტები, რაიონის ყველა მშრომელი მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. სკკპ XX ყრილობისათვის მზადების დღეები კომუნისტების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის გაძლიერებით, მასებში პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით აღინიშნება.

დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ ორგანიზაციულ მუშაობაში მთავარია კადრების სწორად შერჩევა და შესრულების შემოწმება. შესრულების შემოწმება ხელს უწყობს პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცებას, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებას, კადრების აღზრდას დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

განუხრელად ახორციელებს რა პარტიული მშენებლობის ლენინურ პრინციპებს, ქობულეთის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად აამაღლა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებანია მოპოვებული ჩაის, ციტრუსოვანთა, ტუნგოსა და ეთერზეთიანი კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საქმეში. გასულ წელს მოკრიფა და მრეწველობას ჩაბარდა 15 მილიონ 565 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 1 მილიონ 11 ათასი კილოგრამით მეტი, ვიდრე 1954 წელს. საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 4.483 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

საგრძნობი მუშაობაა გაწეული საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. პირუტყვის სულადობის გადიდებასთან ერთად გაიზარდა წველადობაც: გასულ სამეურნეო წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 1.208 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.100 კილოგრამისა.

სერიოზული გარდატეხაა მიღწეული სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. 1954 წელთან შედარებით 1955 წელს სიმინდის ნათესი ფართობი გაიზარდა 360 ჰექტარით, ხოლო საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 16,7 ცენტნერი სიმინდი, რაც თითქმის 3 ცენტნერით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

ეს წარმატებანი მოპოვებულია იმის შედეგად, რომ პარტიის რაიკომმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად ყურადღების ცენტრში დააყენეს სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები. ყოველი ღონისძიებით აძლიერებდნენ რა ორგანიზატორულ საქმიანობას, კერძოდ შესრულების შემოწმებას, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შემდგომ გააუმჯობესეს მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები.

ლენინს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობა წლების მანძილზე ვერ ასრულებდა ჩაის ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების, სიმინდის მოსავლიანობის, აგრეთვე წველადობის გეგმებს, დაბალი იყო შრომის ორგანიზაცია. რაიკომმა შეისწავლა კოლმეურნეობის გამგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა, გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებები მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. კერძოდ, განმტკიცებულ იქნა პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობა, პარტბიუროს მდივნად კომუნისტებმა აირჩიეს მოწინავე, ინიციატივიანი აგროტექნიკოსი ჯ. ბაუკაძე, რომელმაც მოკლე ხანში შეძლო მნიშვნელოვნად გაეძლიერებინა პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, აემაღლებინა პარტიის წევრთა შემოქმედებითი აქტივობა და მათი ავანგარდული როლი.

ფართო ორგანიზატორული მუშაობის გაჩაღების, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების გაძლიერების შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე, იგი უფრო კონკრეტული და კვალიფიციური გახდა. ამის შედეგად გაუმჯობესდა სამეურნეო საქმიანობაც. მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობა მტკიცედ ჩადგა მოწინავეთა რიგებში, გასულ წელს გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის, ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის გეგმები.

მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება კარგად არის დაყენებული აგრეთვე ჩაისუბნის ლენინის სახელობის, ხუცუბნის სტალინის სახელობის, დაგვის ეოროშილოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებში.

მაგრამ მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ორგანიზატორული მუშაობა ჯერ კიდევ არ არის ცოცხალი და ქმედითი, განსაკუთრებით ჩაორჩენა შესრულების შემოწმება, ხშირად მას ფორმალური ხასიათი აქვს. მაგალითად, სოფელ სახალვაშოს კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში კრებებზე ბევრი დადგენილება გამოაქვთ, მათ შესრულებაზე კი ნაკლებად ზრუნავენ. გასულ წელს აქ 19-ჯერ მოიწვიეს პარტიული კრება, განიხილეს 36 საკითხი. გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მუშაობის დაწვრილებით გაცნობამ ცხადყო, რომ პარტიული ორგანიზაცია და მისი მდივანი შ. ბაგრატიონი მხოლოდ საკითხების განხილვითა და დადგენილებების მიღებით კმაყოფილდებიან, ხოლო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად არავითარ ორგანიზაციულ ღონისძიებებს არ ახორციელებენ. ამის გამო დადგენილებები ქაღალდზე რჩება, ხოლო კოლმეურნეობის საქმიანობაში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია.

აკუყის ჩაის ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციაში გასული წლის იანვარში განიხილეს საგეგმაციო მუშაობის საკითხი, მაგრამ კრებაზე არავითარი ღონისძიებანი არ დაფსახავთ. მას შემდეგ პარტიულმა ორგანიზაციამ კიდევ რამდენჯერმე განიხილა ეს საკითხი, მაგრამ ყოველთვის ზერელედ და ფორმალურად. ორგანიზაციული მუშაობის მოდუნებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ფაბრიკამ გარღვევით დაამთავრა 1955 სამეურნეო წელი. სწორად მოიქცნენ კომუნისტები, როცა სოანგარიშო-საარჩევნო კრებაზე არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს პარტიული ორგანიზაციის მდივნის მუშაობა.

მიღებულ დადგენილებათა შესრულების სისტემატური შემოწმება კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის განხორციელების, პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. მიღებულ დადგენილებათა ქმედითობა და ეფექტიანობა მჭიდროდ დამოკიდებულია ორგანიზატორულ მუშაობაზე. სწორედ ამიტომ პარტიის რაიკომი სისტემატურად აწყობს მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. გასულ წელს პარტიის რაიკომმა 20-ჯერ განიხილა საკითხი მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. 1955 წლის მარტში რაიკომის ბიუროს განიხილა საბჭოთა მეურნეობებში მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. დადგენილების მიღების შემდეგ თითქმის ორი თვე გავიდა, მაგრამ წინასწარი შემოწმებით გამოირკვა, რომ მისი შესრულება ფერხდებოდა. ამასთან დაკავშირებით რაიკომმა განახორციელა მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობებში მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საჭიროა შესრულების შემოწმებას ეწოდოს ერა მეორეხარისხოვანი მუშაკები, არამედ თვითონ ხელმძღვანელები. ამიტომ არის, რომ რაიკომის წევრები, განყოფილებათა გამგეები და მდივნები უშუალო მონაწილეობას იღებენ შესრულების შემოწმებაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პარტიული მუშაობის ამ გადამწყვეტ უბანზე ყველაფერი რიგზე რჩება. ასეთ შემთხვევებში, როდესაც პარტიის რაიკომი საკანონმდებლო კონტროლს ვერ უწევს მის მიერ მიღებულ ცალკეულ დადგენილებებს, რის შედეგად ისინი ან სრულიად შეუსრულებელი რჩება, ან ნაწილობრივ ხორციელდება.

პარტიის რაიკომის მუშაკები, განსაკუთრებით ზონის ინსტრუქტორები ჯერ კიდევ არასაკმარ კონტროლს უწევენ და ნაკლებად ეხმარებიან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს შესრულების შემოწმების სწორად მოწყობაში. შესრულების შემოწმების მიზანი ის არის, რომ ბოლომდე გამოაკმაღლავნოთ ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლის გადაწყვეტილების ფრთხე შესრულებას, ვებრძოლოთ საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს, ყველა ღონისძიებით უზრუნველვყოთ დადგენილების განუხრელად განხორციელება.

ემზადებიან რა პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ქობულეთის რაიონის პარტიული ორგანიზაციები თავიანთ ძალებსა და ენერგიას წარმართავენ ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის სხარბოლეველად. ახალი ღიორი ამოცანები, რომლებიც მეექვსე ხუთწლედში ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დგას, პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ორგანიზატორული მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას, იმას, რომ შესრულების შემოწმება სისტემატური და ქმედითი იყოს.

ა. ლომაძე,
საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიონული კომიტეტის მდივანი.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XX ყრილობის დირექტივების პროექტზე

პოლონეთი

ვარშავა, 16 იანვარი. (საკდესი). პოლონეთის გაზეთებმა „ტრიბუნა ლიუდუმ", „გლოს პრაცომ" და სხვებმა გამოაქვეყნეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის დაწვრილებითი შინაარსი.

გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ" სათაურში აღნიშნავს, რომ დირექტივების პროექტი წარმოადგენს ახალ დიდ ნაბიჯს წინ საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი განვითარების გზაზე. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი გეგმის რეალიზაცია მოასწავებს საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, სახალხო კეთილდღეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და საბჭოთა კულტურის ზრდას.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების დაწვრილებითი შინაარსი არაერთგზის გადასცა პოლონეთის ცენტრალურმა რადიომ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 16 იანვარი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს და მას აფასებს როგორც ისტორიულ დოკუმენტს, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს.

გაზეთი „ფორვერტსს" მოჰყავს ამ დოკუმენტის შინაარსი და აღნიშნავს, რომ დირექტივების პროექტში გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდება 65 პროცენტით და რომ სახელმწიფო კაპიტალდაბნდებათა საერთო მოცულობა ხუთწლედში განსაზღვრულია 990 მილიარდი მანეთის ოდენობით.

ცნობაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ დირექტივებში მთავარი ყურადღება ექცევა მძიმე მრეწველობის განვითარებას, ტექნიკურ პროგრესს, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, რათა ამ ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების მსვლელობაში იბრძვის სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრისათვის — დაეწიოს და გაუსწროს ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს მოსახლეობის ერთ სულზე პროდუქციის წარმოებაში.

იუგოსლავია

ბელგრადი, 16 იანვარი. (საკდესი). გაზეთები „ბორბა" და „პოლიტიკა" აქვეყნებენ ცნობებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის თაობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შესახებ.

გაზეთი „ბორბა" აქვეყნებს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობას სათაურით „გამოქვეყნდა ახალი საბჭოთა ხუთწლიანი გეგმის პროექტი".

დირექტივების ძირითად განსაკუთრებულ თვისებებს, აღნიშნულია სტატიაში, წარმოადგენს მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარება, ახალი ტექნიკის დანერგვა წარმოების ყველა დარგში და ამასთან დაკავშირებით მუშების კვალიფიკაციის ამაღლება და შრომის ნაყოფიერების გადიდება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ცხოვრების დონის ამაღლება.

შემდეგ სტატიაში მოყვანილია მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტის ძირითადი ციფრობრივი მაჩვენებლები.

ინგლისი

ლონდონი, 16 იანვარი. (საკდესი). ლონდონის დიდი გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებენ ცნობებს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის თაობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შესახებ. მოჰყავთ რა ამ დოკუმენტის, შინაარსი, მთელი რიგი გაზეთები აღნიშნავენ, რომ იგი ითვალისწინებს სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობისა და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიის შემდგომ სწრაფ აღმავლობას. მიმომხილველთა ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ცნობები საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების, განათლების სისტემის განვითარების შესახებ სსრ კავშირში. გაზეთების ნაწილს სსრ კავშირის ეკონომიკის ეს სწრაფი განვითარება მიაჩნია დასავლეთის „გამომწვევად" მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში.

ხაზგასმით აღნიშნავს რა სსრ კავშირში სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების რეალობას, გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" წერს: „გავიდა ის დრო, როცა რუსეთის ფარგლებს გარეთ საბჭოთა ხუთწლიან გეგმებს ზოგიერთნი ქედმაღლური ღიმილით ხვდებოდნენ". გაზეთი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, „არის თუ არა საკმაოდ რეალისტური საბჭოთა დაგეგმაზე გამოხმაურება, ინგლისში მაინც".

ბევრი მიმომხილველი დაწვრილებითს კომენტარს უკეთებს იმას, რომ დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა საერთო გამოშვების გადიდება სსრ კავშირში დაახლოებით ერთნახევარჯერ, ხოლო მძიმე მრეწველობის დარგებისათვის, მშენებლობისათვის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობისათვის — დაახლოებით ორჯერ მეხუთე ხუთწლედთან შედარებით.

„ნიუს ქრონიკლი" ამ ციფრებს უწოდებს „ღირსშესანიშნავს", განსაკუთრებით „თანაარსებობის დროს, რომელიც დაფუძნებულია შეჯიბრებაზე, სადაც ტექნიკური ცოდნა აუცილებელი ელემენტია"... გაზეთი შეშფოთებით აცხადებს, რომ „დასავლეთი უიმედოდ ჩამორჩება ტექნიკური განათლების დარგში" და მოუწოდებს დასავლეთის სახელმწიფოებს „ფართოდ და შორსმჭვრეტელურად" დგასინჯონ მეცნიერულ-ტექნიკური კადრების მომზადების თავიანთი სისტემა.

გაზეთი „დეილი მეილი", ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ ინგლისთა და ტექნიკოსთა გამოშვება სსრ კავშირში „ახალი ხუთწლიანი გეგმის დამლევისათვის ერთიორად გადიდდება", წერს, რომ „ვერც ინგლისმა, ვერც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დღემდე ვერ განახორციელეს ამის მსგავსი რამ". ახასიათებს რა დირექტივების პროექტს, გაზეთი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ღონისძიებებს, რომლებსაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს ეკონომიკის განვითარების დარგში ძნელი ამოცანების დასაბრელად, „შეიძლება თავის დროზე მოჰყვეს მდიდარი დივიდენდები ფართო მოხმარების საქონლის უსაზღვრო ნაკადის სახით".

გაზეთი „დეილი ექსპრესი" გამოთქვამს აზრს, რომ „ახალი ხუთწლიანი გეგმა მოასწავებს, რომ იწყება მეორე სამრეწველო რევოლუცია — ფართო შეტევა, რათა გაუსწრონ დასავლეთს მრეწველობის დარგში, ატომის ენერგიისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში..."

ბურჟუაზიული გაზეთების ზოგიერთი კომენტატორი ცდილობს შეასუსტოს შთაბეჭდილება, რომელიც დირექტივების პროექტმა მოახდინა ინგლისის საზოგადოებრიობაზე და დამახინჯებულად განმარტავს მათს აზრს. მაგალითად, „ტაიმსის" მიმომხილველი ცდილობს შთააგონოს მკითხველებს, თითქოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება სსრ კავშირში „გადიდო განუსაზღვრელი დროით", თვალს არიდებს რა იმ ფაქტს, რომ დირექტივების პროექტი ითვალისწინებს საბჭოთა მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასის გადიდებას, კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის გადიდებას, სახელმწიფო სახსრებით დაახლოებით 205 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლების აგებას (რაც ორჯერ მეტია, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში) და ხალხის მასების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს.

ამავე დროს „ტაიმსი" აღიარებს, რომ „საბჭოთა უახლესი ხუთწლიანი გეგმის მონასახების გამოქვეყნება გამომაფხიზლებლად მოგვაგონებს განუხრელ სამრეწველო პროგრესს, რომელიც კვლავ არის საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძირითადი ფონი".

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. (საკდესი). ამერიკის გაზეთები და სააგენტოები დიდ ყურადღებას აქცევენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. ამერიკული გაზეთებისა და მიმომხილველების კომენტარებში გამოსჭვივის აშკარა შეშფოთება საბჭოთა კავშირის სოციალისტური ეკონომიკის სწრაფი ზრდისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების გრანდიოზული გეგმების გამო. ამასთან ერთად, იმისათვის, რომ შეანელონ შთაბეჭდილება, რომელსაც სოციალისტური ეკონომიკის წარმატებანი და აყვავება ახდენენ ამერიკის საზოგადოებრივ აზრზე, ზოგიერთი გაზეთი ცდილობს საეჭვო გახადოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების დასახული ამოცანების განხორციელების შესაძლებლობა.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" პირველ გვერდზე აქვეყნებს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ჰენგენის სტატიას, რომელიც დაწვრილებით იტყობინება მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. თავის მიმომხილველის შეარცის კომენტარებს და ამ საკითხს მოწინავე სტატიას უძღვნის.

„ახალი გეგმის მიზანია, — აცხადებს გაზეთი მოწინავე სტატიაში, — აჩვენოს, რომ „მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზაზე ისტორიულად უმოკლეს ვადებში" საბჭოთა კავშირს შეუძლია დაეწიოს და გაუსწროს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს — და კერძოდ შეერთებულ შტატებს — ერთსულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებაში".

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსს" მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრება მიაჩნია „სერიოზულ საბჭოთა ეკონომიურ გამოწვევად", რომელიც იმით გამოიხატება, რომ საბჭოთა კავშირს სურს დაამტკიცოს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

გაზეთი შიშს გამოთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის აყვავებული ეკონომიკა უზრუნველებს „ასობით მილიონ ადამიანს, რომლებიც მთელი მსოფლიოს სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობენ, რომ მის ეკონომიურ სისტემას შეუძლია უზრუნველყოს აყვავებული მომავალი უაღრესად მოკლე ვადაში".

ცდილობს რა საეჭვოდ გახადოს საბჭოთა კავშირის უნარი 1960 წლისათვის შეასრულოს გეგმის პროექტში დასახული სახალხო მეურნეობრივი ამოცანები, გაზეთი გიფრთხილებას იძლევა, რომ „სკეპტიციზმში არ უნდა გადავჭარბოთ. საბჭოთა ეკონომიკის უნარი მიაღწიოს წარმატებას, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის ყველა დარგში... დამტკიცებულია საკმაოზე უფრო მეტად".

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მიმომხილველი შვარცი იმავე აზრს გამოთქვამს და მოუწოდებს გაითვალისწინონ „წარსული მიღწევანი, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის დარგში".

იმოწმებს რა „საბჭოთა ეკონომიკის საკითხების სპეციალისტთა" აზრს, შვარცი აღნიშნავს, რომ „რუსები, უეჭველია, დიდ წარმატებას მოიპოვებენ უახლოეს ხუთ წელიწადში, და ეკონომიურ დარგში ისინი იწყებენ ჩვენს დაწევას". შემდეგ შვარცი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს „სპეციალისტები სულაც არ ფიქრობენ ფოლადის გამოდნობის, ქვანახშირის ამოღებისა და სხვა საკონტროლო ციფრები განიხილონ როგორც „პროპაგანდა". პირიქით, ისინი ამბობენ, რომ რუსებმა უკანასკნელ ათ წელიწადში მეტად სწრაფი წარმატებანი მოიპოვეს ყველა დარგში. მთელი არსებული მონაცემები ცხადყოფენ, რომ ისინი აპირებენ განაგრძონ მძიმე მრეწველობის ეს სწრაფი განვითარება და რომ მათ ჰყავთ მუშახელი, აქვთ ნედლეული და ტექნიკური ცოდნა იმისათვის, რომ ეს გააკეთონ".

ასოშიეიტედ პრესისა და იუნაიტედ პრესის სააგენტოებმა გაავრცელეს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შინაარსი, რომელიც მათმა მოსკოველმა კორესპონდენტებმა გადასცეს. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი თავის ცნობაში აღნიშნავს, რომ „თუ ყველა დარგში განხორციელდა წარმოების გიგანტური გადიდება, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის მეექვსე ხუთწლიანი გეგმით, მაშინ რუსეთი ძლიერ პოზიციას დაიკავებს შეერთებულ შტატებთან ეკონომიური კონკურენციის დარგში".

ინგლისიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

16 იანვარს ლიბერიიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის აბო. ა. პ. ვოლკოვის მეთაურობით.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია 1-დან 12 იანვრამდე ლიბერიაში იმყოფებოდა ამ რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით და დაესწრო უილიამ ვ. ს. ტუბმენის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უილიამ რ. ტოლბერტის მიერ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის შესრულების ოფიციალურად დაწყების ცერემონიას.

ვნუკოვოს აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. იბრაჰიმოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ვ. გ. ბლაგონრავი და დ. გ. ონიკა, მოსკოვის სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. მარტუმოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ბ. ტ. ზაიცევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლჩანოვი. (საკდესი).

სსრ კავშირში ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საპარლამენტო დელეგაცია

კიევი, 16 იანვარი. (საკდესი). დღეს სოფიიდან უკრაინის დედაქალაქში ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საპარლამენტო დელეგაცია, რომელიც მოსკოვს მიემგზავრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების ბიუროს თავმჯდომარე ფ. კოზოვსკი.

კიევის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ალმებით, სტუმრებს შეხვდნენ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ს. ა. კოვპაკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. ნ. ზლენკო, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ფ. პალამარჩუკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, პრესის წარმომადგენლები.

შეხვედრამ და საუბრებმა აეროდრომზე გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

იმავე დღეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საპარლამენტო დელეგაცია მოსკოვს გაფრინდა.

აღბანეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის წევრია

ტირანა, 15 იანვარი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის მდივანმა ამას წინათ აცნობა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ბეჭარ შტიულას, რომ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის წევრად.

ქარხნის ტექნიკურ ბიბლიოთეკაში

გაიხმის საყვირის ხმა. კიროვის ხაბელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში იწყება შესვენება. ჯგუფ-ჯგუფად გამოდიან მუშები ხაამქროებიდან.

აი მუშათა ერთი ჯგუფი გაემართა მეორე კორპუსისაკენ. აქ ვრცელ და ნათელ დარბაზში მოთავსებულია ქარხნის ტექნიკური ბიბლიოთეკა. მაგიდაზე ლამაზად აწყვია მრავალი სახელწოდების ჟურნალ-გაზეთები როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაზე. მკითხველები ათვალიერებენ იქვე კედელზე გაკეთებულ სტენდს, სადაც მოთავსებულია ხაზგარგარეთული ტექნიკური ჟურნალები. ბიბლიოთეკის გამგე ე. ჩაიკა მკითხველებს უცვლის წაკითხულ წიგნებს.

მდიდარი და მრავალფეროვანია ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი. აქ არის 13 ათასი ცალი მარტო ტექნიკური ლიტერატურა, აგრეთვე მრავალი პოლიტიკური და მხატვრული წიგნი რუსულ, ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად იძენს წიგნებს ლენინგრადის სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის სახლიდან, ტექნიკური პროპაგანდის ცენტრალური ბიუროსაგან და სხვ. მკითხველები დიდ ინტერესს იჩენენ აგრეთვე საზღვარგარეთული ტექნიკური ლიტერატურისადმი.

ბიბლიოთეკის მკითხველთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. ამჟამად აქ უკვე ირიცხება 1.000-ზე მეტი მუდმივი მკითხველი. ყოველდღიურად კი სამკითხველო დარბაზში ქარხნის ახამდე მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი მოდის. ხშირი სტუმრები არიან ელექტრიკოსი თ. ყანდარელი, ხარატი ა. შურიმოვი, ინჟინერი გ. აბრამოვი, კონსტრუქტორი შ. ედილაშვილი და სხვები.

ქარხნის მრავალი ახალგაზრდა მუშაკი სწავლობს დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში. მათ დასახმარებლად ბიბლიოთეკა იწერს საჭირო სახელმძღვანელო ლიტერატურას როგორც თბილისის, ისე მოსკოვისა და ლენინგრადის ბიბლიოთეკებიდან. აქაური წიგნებით სარგებლობს აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების ბევრი პრაქტიკანტი და დიპლომანტი სტუდენტი.

ტექნიკური ლიტერატურის პროპაგანდის მიზნით ბიბლიოთეკაში მოწყობილია ვიტრინები „ქარხნის რაციონალიზატორები და გამომგონებლები", „წარმოების ნოვატორები", „ხიასლენი ტექნიკურ ლიტერატურაში", „ახალი ჟურნალები".

ლ. ხუციშვილი.

• • •

სურათზე: ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ა. ს. პოპოვის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

დიდი რუსი მეცნიერის ა. ს. პოპოვის გარდაცვალების 50 წლისთავთან დაკავშირებით კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა დიდი გამოფენა.

გამოფენის სამ სტენდზე ეექსპონირებულია მრავალი მასალა — ფოტოსურათები, წიგნები, რომლებიც მნახველებს მოუთხრობენ გამოჩენილი რუსი ფიზიკოსის და ელექტროტექნიკოსის, რადიოტელეგრაფის გამომგონებლის ა. ს. პოპოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ყურადღებას იპყრობს განყოფილება „პოპოვი კრონშტადტში". გამოფენაზე წარმოდგენილია დიდი მეცნიერის გამოგონებათა ნახაზების ფოტოპირები და ამ გამოგონებებთან დაკავშირებული სამეცნიერო შრომები. საინტერესო განყოფილებებია „რადიოს გამოგონება", „მსოფლიოში პირველი რადიოგრამა", „ზღვაზე რადიოკავშირის პირველი ცდები", „პოპოვი და თანამედროვე რადიო", „პოპოვის სიცოცხლის უკანასკნელი წლები" და სხვ.

გამოფენას მრავალი მკითხველი ათვალიერებს.

თასის მოსაპოვებლად

თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გაიმართა მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი მასობრივი და საინტერესო ასპარეზობა სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, აკრობატიკაში. საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის თასის მოსაპოვებლად იბრძოდა ჩვენი რესპუბლიკის 20 გუნდი 240-მდე სპორტსმენის მონაწილეობით.

ოთხი დღის საინტერესო ბრძოლის შემდეგ შეჯიბრებაში გაიმარჯვა თბილისის პირველმა გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა აჭარის ნორჩ სპორტსმენთა კოლექტივი, მესამეზე — ქუთაისის გუნდი. მეორე ჯგუფის სპორტსმენთა კოლექტივებს შორის გაიმარჯვა ლენჩუთის რაიონის გუნდმა.

შეჯიბრებაში კარგი შედეგი მოიპოვა კონკურსგარეშე მონაწილე საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ქალმა მ. ხაჩიძემ, რომელმაც ოსტატის ნორმა შეასრულა.

შეჯიბრებაში გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცათ ჯილდოები.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დისერტაციის დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

1956 წლის 27 იანვარს, დღის 1 საათზე (სააქენი დარბაზში) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ეთერ დავითის ასულ შარაშენიძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„რუსეთის პირველი რევოლუციის ასახვა 1905-1907 წლების ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში".**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ბორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატთან არსებული საქარხნო-საფაბრიკო სკოლა

აცხადებს მოსწავლეების მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: მრთველები, მეფთილეები, მქსოველები, მგრეხავები, მხვევლები და სხვ.

მიიღებიან მდედრობითი სქესის მოქალაქენი 17 წლიდან 20 წლამდე სულ მცირე 7 კლასის განათლებით.

სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან საცხოვრებელი ბინით, სტიპენდიით და კვებით.

სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელია. სკოლა ამზადებს კადრებს ბორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში სამუშაოდ.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. ბორი, ბამბეულის ქსოვილების კომბინატის საქარხნო-საფაბრიკო სკოლის კანცელარიას.

დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ევგენი ონეგინი, **რუსთაველის სახელობის** — ტორიელ გოლუა, **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი, **გრიბოედოვის სახელობის** — ხევისბერი გოჩა, **მუსიკალური კომედიის** — სასიძოები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—კომბლე (ამონემენტი № 9, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — კრაზანა (4 ს.), **თოჯინების ქართული** — დათუნიას სამართალი (10 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, ისანი, 26 კომისრის სახელობის, თბილისი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები —პედაგოგიური პოემა, **კომკავშირელი, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი** — სისხლიანი გზა, **კოლხიდა, გორკის სახელობის კულტურის სახლი**— დეენილნი, **დიდუბე** — ეეფხვების მომთვინიერებელი, **კოლმეურნე** — მაგდანას ლურჯა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ჩრდილი და სინათლე, **კომუნარების ბაღი** — მაქსიმე პერეპელიცა.

შვილები მარო, ნინო, ბარბარე, გიორგი, ნიკოლოზ, გრიგოლ, დები სოფიო, ვერა, ძმა ივანე ოჯახებით იუწყებიან

ოლღა იაკობის ასულ ქიტაიშვილი-ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-I, 8 ს. გამოსვენება 19-I, 4 ს. ბინიდან, საბჭოს მოედანი № 3.

მეუღლე ოლღა, შვილი ლეონიდე, ძმა ივანე ოჯახით იუწყებიან

კარპეზ ანდრიას-ძე ბარამიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-I, 8 ს. გამოსვენება 19-I, 4 ს. კონდუქტორის ქ. № 8.

მეუღლე ნიკოლოზ მეგრელიშვილი, შვილი თეიმურაზ, დედა სოფიო, და ლოლა, ძმები გიორგი, შოთა ოჯახებით იუწყებიან ექიმ

მარიამ ანტონის ასულ გვენცაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-I, 7 ს. გამოსვენება 19-I, 4 ს. კლდიაშვილის ქ. № 2.

მეუღლე ნაზია, შვილები დიანა, ქეთევან, ბიჭიკო, მარგო ოჯახებით იუწყებიან

კონსტანტინე მელიტონის-ძე წირდვავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-I, 8 ს. გამოსვენება 19-I, 3 ს. გოგებაშვილის მეორე შესახვევი № 19.

დედა მაშო, მეუღლე კუკუშა, შვილები როსტომ, ნოდარ, რეზო, დები ანა, თამარ, ეკატერინე, ძმა მიშა ოჯახებით იუწყებიან

კოლია გიორგის-ძე სიხაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-I, 8 ს. გამოსვენება 19-I, 4 ს. მარჯანიშვილის ქ. № 16.

მეუღლე ვერა, შვილები რუსუდან, მაღლენა, გურამ, და ტერეზი იუწყებიან

ნიკიფორე ერმილეს-ძე ბარამიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-I, 8 ს. გამოსვენება 19-I, 4 ს. კალანდაძის ქ. № 8.

შვილები თამარ, ლიზა, აგრაფინა, პაველ, და ეკატერინე, ძმები ვიქტორ, გერმანე, ნოე ოჯახებით იუწყებიან

ქსენია ვლადიმერის ასულ შარაშიძე-რამიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-I ჩოხატაურში.

შვილები მარიამ, ნინო, პოლიექტ იუწყებიან

ანა ეგნატეს ასულ ლაიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-I, 8 ს. გამოსვენება 19-I, 4 ს. არაყიშვილის ქ. № 2.

და სონია, ძმები გრიგოლ, იოსებ, გიგლა, კირილე, სერგო მებუკეები ოჯახებით იუწყებიან

ანიჩკა ნიკიფორეს ასულ მებუკის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-I ქ. წულუკიძეში. გამოსვენება ბინიდან, კაგანოვიჩის ქ. № 12.

მეუღლე თინა ყენტი, შვილები თამაზ, გოჩა, გელა, ძმები არჩილ, დიმიტრი ოჯახებით იუწყებიან

ლუტუ გრიგოლის-ძე აბაშიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-I, 8 ს. გამოსვენება 19-I, 3½ ს. ანაგის ქ. № 18, საბურთალო, სპეციალისტების სახლი.

დედა მარინე, დები ანეტა, შუშანა ნათესავებით იუწყებიან

ვლადიმერ მიხეილის-ძე ძნელაძის

გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20 43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამოშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 00113 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

ბელგრადში ბულგარეთის, ალბანეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ალბანეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარ